Regulatory Compliance Risks. Regulatory compliance risk arises when the business fails to comply with the laws, resulting in fines, reputational damage, or even leading to the suspension of the authorization to operate. One of the Company's past exposures to regulatory changes was related to the introduction of Euro-4 standard. In 2015, Azerbaijan implemented legislation which prohibited the import of cars with fuel standards below Euro-4, significantly impacting the Company's sales. Following this legislation change the export of pre-2005 cars from Georgia to Azerbaijan, which were in high demand previously completely stopped. Additionally, 2017's increase in the excise tax rate on vehicles had an adverse effect on the Company's sales. Currently, the relevant regulatory change is associated with Euro-5 standard. Georgia has introduced Euro-5 standard for vehicles in the country thus restricting import of the cars manufactured prior 2013. The passenger vehicles became subject to this regulation from January 1, 2024, while buses and lorries are expected to fall under regulation starting from January 1, 2025. Azerbaijan started transition to Euro-5 fuel in 2023 as for vehicles upgrade definitive date was not declared. So far Company managed to align to new regulation practically full line-up, except LC70, for which we Company expecting positive output in the middle of 2024 year.

Koji Matsuno
President

Irakli Lekishvili
Director

Date: 22.03.2024

Company Name: Toyota Caucasus LLC, Official Distributor. IC 236089273. Address: 31b Elephter Andronikashvili str., 0189 Tbilisi, Georgia. Phone: +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47. Email Address: info@toyota-caucasus.com

This letter and the information it contains may be privileged. The contents are confidential and if you received this letter in error you should notify the sender immediately. You should not copy it for any purpose or disclose its contents to any other person without the sender's prior permission.



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

Furthermore, semiconductor supply chains, already having issues, remain highly vulnerable. However, Japanese brands have been notably successful in navigating the global semiconductor shortage, avoiding the need for significant price increases for their products.

The Company operates as a wholesaler and is not involved at any stage of vehicles production cycle; therefore the primary risks lie in the macroeconomic and financial conditions. Given that majority of the company's end-users reside in the Caucasus region, which is in the proximity to an ongoing conflict, the business is susceptible to adverse economic effects of the war. A potential consequence could be the depreciation of the local currencies, subsequently reducing customers purchasing power and causing decline in the company's sales.

Regulatory Compliance Risks. Regulatory compliance risk arises when the business fails to comply with the laws, resulting in fines, reputational damage, or even leading to the suspension of the authorization to operate. One of the Company's past exposures to regulatory changes was related to the introduction of Euro-4 standard. In 2015, Azerbaijan implemented legislation which prohibited the import of cars with fuel standards below Euro-4, significantly impacting the Company's sales. Following this legislation change the export of pre-2005 cars from Georgia to Azerbaijan, which were in high demand previously completely stopped. Additionally, 2017's increase in the excise tax rate on vehicles had an adverse effect on the Company's sales. Currently, the relevant regulatory change is associated with Euro-5 standard. Georgia has introduced Euro-5 standard for vehicles in the country thus restricting import of the cars manufactured prior 2013. The passenger vehicles became subject to this regulation from January 1, 2024, while buses and lorries are expected to fall under regulation starting from January 1, 2025. Azerbaijan started transition to Euro-5 fuel in 2023 as for vehicles upgrade definitive date was not declared. So far Company managed to align to new regulation practically full line-up, except LC70, for which we Company expecting positive output in the middle of 2024 year.

Koji Matsuno
President

Irakli Lekishvili
Director

Date: 22.03.2024

Company Name: Toyota Caucasus LLC, Official Distributor. IC 236089273. Address: 31b Elephter Andronikashvili str., 0189 Tbilisi, Georgia. Phone: +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47. Email Address: info@toyota-caucasus.com

This letter and the information it contains may be privileged. The contents are confidential and if you received this letter in error you should notify the sender immediately. You should not copy it for any purpose or disclose its contents to any other person without the sender's prior permission.

შპს ტოიოტა კავკასია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3 მომზადების საფუძველი	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	7
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	8
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	9
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	13
9 მარაგები	15
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18
12 საწესდებო კაპიტალი	19
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულება	19
14 მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები	20
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	21
16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	22
17 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	23
18 სადისტრიბუციო ხარჯები	24
19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
20 მოგების გადასახადი	25
21 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	26
22 ფინანსური რისკის მართვა	27
23 კაპიტალის მართვა	30
24 სამართლიანი ღირებულების განმარტება	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტოიოტა კავკასიის მესაკუთრესა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ტოიოტა კავკასიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს

„მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცენოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება

მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2024 წლის 22 მარტი
თბილისი, საქართველო

შპს ტოიოტა კავკასია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	14,666	13,896
აქტივის გამოყენების უფლება		169	304
სხვა გრძელვადიანი აქტივები		750	750
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,585	14,950
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	49,430	87,510
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	12,323	4,137
საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო		387	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	63,951	23,835
სულ მოკლევადიანი აქტივები		126,091	115,482
სულ აქტივები		141,676	130,432
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		105,744	44,955
სულ საკუთარი კაპიტალი		115,744	54,955
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		25	169
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		25	169
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	25,750	71,038
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	13	4,077
საიჯარო ვალდებულებები		144	135
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო		-	58
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,907	75,308
სულ ვალდებულებები		25,932	75,477
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		141,676	130,432

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 22 მარტს.

კოჯი მაცუნო
 პრეზიდენტი

ირაკლი ლევიშვილი
 დირექტორი

შპს ტოიოტა კავკასია
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16	645,138	388,407
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17	(531,212)	(337,361)
მთლიანი მოგება		113,926	51,046
სადისტრიბუციო ხარჯები	18	(7,128)	(5,446)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(6,240)	(4,891)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ზარალი, ნეტო		(153)	(97)
სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო		(1,254)	(483)
საოპერაციო მოგება		99,151	40,129
ფინანსური შემოსავალი		719	212
ფინანსური ხარჯები		(797)	(61)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		99,073	40,280
მოგების გადასახადის ხარჯი		(5,819)	(1,621)
წლის მოგება		93,254	38,659
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		93,254	38,659

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-32, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტოიოტა კავკასია
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს		10,000	15,425	25,425
წლის მოგება		-	38,659	38,659
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ 2022 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	38,659	38,659
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	(9,129)	(9,129)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		10,000	44,955	54,955
წლის მოგება		-	93,254	93,254
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ 2023 წლის სრული შემოსავალი		-	93,254	93,254
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	(32,465)	(32,465)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		10,000	105,744	115,744

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-32, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტოიოტა კავკასია
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		99,073	40,280
შესწორებები:			
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		135	140
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა	8	1,452	1,215
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი, ნეტო		55	65
მარაგების გაუფასურების აღდგენა, ნეტო	17	(116)	(40)
საგარანტიო ხარჯი/აღდგენა)	17	(3,493)	3,713
ფინანსური შემოსავალი		(719)	(212)
ფინანსური ხარჯები		797	61
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ზარალი, ნეტო		153	97
სხვა არაფულადი საოპერაციო შემოსავალი, ნეტო		-	(24)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი		97,337	45,295
კაპიტალის ცვლილებამდე			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	10	(8,206)	(2,207)
მარაგების შემცირება/ (ზრდა)	9	38,196	(54,226)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	13	(45,787)	37,974
სხვა საგადასახადო (მოთხოვნის)/ვალდებულების ცვლილება		(331)	453
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(16,128)	(18,006)
გადახდილი მოგების გადასახადი		(5,819)	(1,621)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		719	212
გადახდილი პროცენტი		(797)	(61)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		75,312	25,819
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(2,433)	(1,357)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		156	77
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,277)	(1,280)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	15	28,000	19,000
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(28,000)	(19,000)
კომპანიის აქციონერისთვის გადახდილი დივიდენდები	12	(32,465)	(9,129)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირი თანხა		(135)	(141)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(32,600)	(9,270)
ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა		(319)	(128)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		23,835	8,694
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		63,951	23,835

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-32, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა

შპს ტოიოტა კავკასია (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2006 წლის 18 იანვარს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 236089273. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია.

კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ტოიოტა ცუშო კორპორეიშნი“ (Toyota Tsusho Corporation), რომელიც მისი 100% წილის მფლობელია. კომპანიას საშუალოდ 76 თანამშრომელი ჰყავდა (2022: 84).

კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისთვის. კომპანია საქმიანობას აწარმოებს კომპანიასა და Toyota Motor Europe-ს შორის გაფორმებული სადისტრიბუციო შეთანხმების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც კომპანიას მინიჭებული აქვს ტოიოტას და ლექსუსის ბრენდის პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. მხარეებს შორის გაფორმებული მიმდინარე დისტრიბუციის შეთანხმება ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპანიას გააჩნია წარმომადგენლობითი ოფისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გლდანის რაიონი, ელევთერ ანდრონიკაშვილის ქ., N 31ბ, საქართველო, 0189, თბილისი.

წარსდგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში (აშშ დოლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს აგრძელებს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლების გამოვლენას, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორიცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, რაც მოიცავდა საქმიანობის შეწყვეტასაც. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რჩება რისკი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 2024 წელს დააწესოს დამატებითი შეზღუდვები ვირუსის ახალი ვარიანტების გამო.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის

მოსალოდნელია, რომ ომს ექნება ყოვლისმომცველი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, საქონლის მზარდი ფასების, ნავთობის/გაზის/ნახშირის პოტენციური დეფიციტის, ბიზნესის შეფერხების და ა.შ. მეშვეობით. მეორეს მხრივ, რუსეთზე სანქციების დაწესებისა და ტოიოტას რუსეთის ბაზრიდან გასვლის გამო გასაყიდი ავტომობილების რაოდენობა გაიზარდა, რადგან ავტომობილები, რომლებიც უკვე წარმოებული იყო რუსეთში მოღვაწე დილერებისთვის, ხელმისაწვდომი გახდა ტოიოტა კავკასიის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ ბაზრებზე გასაყიდად.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ზომების გრძელვადიანი გავლენის შეფასება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება ფაქტობრივი შედეგებისგან განსხვავდებოდეს.

კლიმატის ცვლილება. კომპანია ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს, კლიმატის ცვლილების რისკებთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როდესაც ის გამოიცემა იმ ბაზრებისთვის, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ყოველ შესაბამის შენიშვნაში. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასახულია მე-4 შენიშვნაში.

ოპერაციები და ნაშთები. კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი (აშშ დოლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების ყოველი საწარმოს სამუშაო ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტირება არ ვრცელდება პირვანდელი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციები, კონვერტირდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული კურსების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლების უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.

შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ მოითხოვს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-7 შენიშვნაში..

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა- შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში..

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი განიმარტა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ცვლილებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები დაკავშირებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 15-ში მოცემულ მოთხოვნებს და გაყიდვის სახით უნდა იქნეს აღრიცხული. ცვლილებებით მოითხოვება, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ამ ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შემდგომ შეაფასოს იმგვარად, რომ არ აღიაროს მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული რაიმე შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს მსგავსი შემოსულობის გადავადებას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ცვალებადი გადახდების განხორციელების მოვალეობა და ის დამოკიდებული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადავადდოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიისა და საბოლოო მკონტროლებელი მხარის შესახებ ინფორმაცია განმარტებულია პირველ შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	7	160
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	750
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(24,099)	(7,794)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	7	1,151
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	750
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(66,727)	(3,046)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა შემოსავალი	(18)	16
საგარანტიო ხარჯები (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება)	-	2,464
სადაზღვევო მოთხოვნები	-	1,150
საქონლის შესყიდვა	(474,583)	(15,842)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები	(9)	(122)
სხვა მომსახურებები	-	(110)

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა შემოსავალი	36	8
საგარანტიო ხარჯები (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება)	-	(3,146)
სადაზღვევო მოთხოვნები	-	995
საქონლის შესყიდვა	(370,934)	(13,202)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები	(4)	(106)
სხვა მომსახურებები	-	(447)

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. კომპენსაცია, რომელიც ხელმძღვანელ პირებზე გაიცემა მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე, შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 626 ათას აშშ დოლარსა და 571 ათას აშშ დოლარს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად.

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, საჭიროებისამებრ.

გასვლისას მიღებული შემოსულობები და ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება, საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), ნეტო - ნაწილში

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენ ღირებულებაზე გადასანაწილებლად მათ დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში:

შენობა-ნაგებობები	20 წელი
ავტომობილები	5 წელი
კომპიუტერული აღჭურვილობა	3-7 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-7 წელი
სხვა	3 წელი

ძირითადი საშუალებების მუხლების ნარჩენი ღირებულებები შეფასდა, როგორც ნულის ტოლი. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, 3-5 წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

თუ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა იქნებოდა 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გავლენა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე იქნებოდა 175 ათასი აშშ დოლარით გაზრდა და შემცირება 110 ათასი აშშ დოლარით (2022: 168 ათასი აშშ დოლარით გაზრდა და შემცირება 89 ათასი აშშ დოლარით).

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტომობი ლები	კომპიუტ. აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვი ლობა	სხვა	არამატერია ლური აქტივები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის								
მდგომარეობით	10,634	787	164	906	10	2,344	-	14,845
დაგროვილი ცვეთა	(76)	(336)	(60)	(125)	(9)	(341)	-	(947)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	10,558	451	104	781	1	2,003	-	13,898
დამატებები	-	327	50	123	21	809	27	1,357
გადაცემა	-	-	-	-	26	-	(26)	-
გასვლები/ჩამოწერები	-	(361)	(6)	(8)	-	(123)	(1)	(499)
ცვეთის ხარჯი	(183)	(110)	(52)	(190)	(12)	(668)	-	(1,215)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	219	5	8	-	123	-	355
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	10,375	526	101	714	36	2,144	-	13,896
ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის								
მდგომარეობით	10,634	753	208	1,021	57	3,030	-	15,703
დაგროვილი ცვეთა	(259)	(227)	(107)	(307)	(21)	(886)	-	(1,807)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	10,375	526	101	714	36	2,144	-	13,896
დამატებები	-	528	47	203	453	1,202	-	2,433
გასვლები/ჩამოწერები	-	(340)	(94)	(37)	-	(82)	-	(553)
ცვეთის ხარჯი	(183)	(145)	(55)	(206)	(38)	(825)	-	(1,452)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	130	93	37	-	82	-	342
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,192	699	92	711	451	2,521	-	14,666
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს								
დაგროვილი ცვეთა	10,634	941	161	1,187	510	4,150	-	17,583
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	(442)	(242)	(69)	(476)	(59)	(1,629)	-	(2,917)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,192	699	92	711	451	2,521	-	14,666

9 მარაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება უნიკალური იდენტიფიკატორის საფუძველზე, ხოლო სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგების ღირებულება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით (FIFO).

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
საქონელი გზაში	18,195	59,032
გასაყიდი ავტომობილები	28,215	25,554
სათადარიგო ნაწილები	3,012	2,921
სხვა	8	3
სულ მარაგები 31 დეკემბერს	49,430	87,510

2023 წელს მარაგის გაუფასურების აღდგენის ღირებულება იყო 116 ათასი აშშ დოლარი (2022 წ.: 40 ათასი აშშ დოლარი).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა****სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული ანარიცხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლასიფიკაციას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში ახორციელებს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. კომპანიის მიზანია აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”).

გაუფასურება-საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვიან პერიოდზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, განახორციელონ მოთხოვნების ანგარიშსწორება.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	11,665	3,546
სხვა ფინანსური მოთხოვნები	259	122
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	-	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	11,924	3,668
გადახდილი ავანსები	399	469
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,323	4,137

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომელიც კლიენტების (ავტომობილების დილერები) მიერ არის მოწოდებული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარანტირებული თანხა შეადგენდა 11,665 ათას აშშ დოლარს (2022: 3,546 ათასი აშშ დოლარი).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულების წარდგენით ცალკე (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უტოლდება ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას („ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები“). უზრუნველყოფის გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:		
- საბანკო გარანტიით	11,665	15,200

უზრუნველყოფის გავლენა 2022 წლის 31 დეკემბერს:

ათასი აშშ დოლარი	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:		
- საბანკო გარანტიით	3,546	10,650

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია საპროგნოზო საფუძველზე აფასებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

ფულადი სახსრები ბანკში ინახება საქართველოს საუკეთესო ბანკებში, რომელთაგან ყველას გააჩნია “BB რეიტინგი” Fitch რეიტინგების საფუძველზე 2023 და 2022 წლებში, შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისათვის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება თანხით, რომელიც ტოლია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილის, რომელიც მომდევნო 12 თვის მანძილზე, ან სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე (თუ ის უფრო მოკლეა) (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) შესაძლო დეფოლტის მოვლენით არის გამოწვეული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნულის ტოლია.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო ნაშთები	63,951	23,835
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	63,951	23,835

ქართულ ბანკებში შენახული ფულადი სახსრები აშშ დოლარში დენომინირებული ფულადი სახსრები წელიწადში საშუალოდ 1.75% , ხოლო ქართულ ლარში დენომინირებული ფულადი სახსრები 9% პროცენტს გამოიმუშავებს.

12 საწესდებო კაპიტალი**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის განახლებული წესდება სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 2023 წლის 19 დეკემბერს და საწესდებო კაპიტალად განისაზღვრა 16,897 ათასი ლარი, 10 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს.

კომპანიის 100% ფლობილია „ტოიოტა ცუშო კორპორეიშენის“ მიერ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერს: 10 მილიონი აშშ დოლარი). 2023 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 32,465 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022: 9,129 ათასი აშშ დოლარი)

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულება**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,744	68,146
საგარანტიო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება	-	2,888
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზებული ღირებულებით	25,744	71,034
მიღებული ავანსები	6	4
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	25,750	71,038

14 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან კომპანიამ შემდეგი ვალდებულებები აღიარა:

ათასი აშშ დოლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
სახელშეკრულებო ვალდებულებები – მომხმარებლისგან მიღებული ავანსი	13	4,077
სულ მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	4,077

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით მოცემულ პერიოდში აღიარებულმა ამონაგებმა შეადგინა 33,667 ათასი აშშ დოლარი (2022: 26,697 ათასი აშშ დოლარი).

2023 წლის 31 დეკემბერს სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი სრულად წარმოადგენს გრძელვადიან ხელშეკრულებებზე, რომლებიც სრულად არის შესასრულებელი, განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებულ თანხას. ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე განაწილებული გარიგების ფასის 100 % (13 ათასი აშშ დოლარი) ამონაგების სახით აღიარდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი ხელშეკრულება გაფორმებულია ერთწლიან ან უფრო ნაკლები ხანგრძლივობის პერიოდებზე ან ანგარიშსწორება მოითხოვება დახარჯული დროის მიხედვით. როგორც ფასს 15-ით არის ნებადართული, აღნიშნულ შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე განაწილებული გარიგების ფასი შენიშვნებში განმარტებული არ არის.

15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების დარიცხული დანახარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი			2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		
	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 1 იანვარს	-	304	304	-	94	94
ფულადი ნაკადები						
სესხის ათვისება	28,000	-	28,000	19,000	-	19,000
ძირი თანხის დაფარვა	(28,000)	(135)	(28,135)	(19,000)	(141)	(19,141)
გადახდილი პროცენტი	(781)	(16)	(797)	(41)	(20)	(61)
არაფულადი ცვლილებები						
დარიცხული პროცენტი	781	16	797	41	20	61
ახალი იჯარა	-	-	-	-	408	408
იჯარის მოქმედების სფეროს შემცირება	-	-	-	-	(57)	(57)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 31 დეკემბერს	-	169	169	-	304	304

ნასესხები სახსრების ცვლილება წარმოადგენს ბანკისგან 5.68%-დან 6.73%-მდე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმე მოკლევადიანი სესხის გამოტანას. სესხის თანხა სრულად იქნა დაფარული მოცემული პერიოდის განმავლობაში. კომპანიას 30 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის რევოლვური საკრედიტო ხაზი აქვს ბანკში.

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა****ამონაგების აღიარება**

კომპანია თავის ამონაგებს გამოიმუშავებს საქონლის საბითუმო ვაჭრობიდან მის ოფიციალურ დილერებთან საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. კომპანია ამონაგების მნიშვნელოვან ნაწილს გამოიმუშავებს ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მოსალოდნელი დანახარჯებისა და ხარჯი-პლუს მარჟის დამატების საფუძველზე.

საქონლის გაყიდვა. ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების, კატალოგების და სახელმძღვანელოების გაყიდვები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ, როდესაც ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემა, როდესაც საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი სრულად გადაეცემა მომხმარებელს, ხელშეკრულებებისთვის შეთანხმებული საერთაშორისო სავაჭრო პირობების (Incoterms) შესაბამისად.

ავტომობილების გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების ოდენობა აღიარდება თითოეული ცალკეული ავტომობილის შექმნილი (build-up) ფასის მიხედვით. რომელიც გამოითვლება საბაზისო ფასებს დამატებული აქსესუარების, ფერისა და სხვა სპეციფიკაციების თანხების გამოყენებით. სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება გაყიდული მუხლების ფასების ჩამონათვალის მიხედვით.

ფასდაკლებით გაყიდვებიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასებზე დაყრდნობით, შეფასებული მოცულობითი ფასდაკლების გარეშე. დაგროვილი გამოცდილება გამოიყენება ფასდაკლებების დადგენისა და მიწოდებისთვის, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმ დონემდე, სადამდეც იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვან გაუქმებას ადგილი არ ექნება, მაღალია.

მომსახურების გაყიდვა. კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირების მომსახურებას აზერბაიჯანსა და სომხეთში გაყიდული მანქანებისა და სათადარიგო ნაწილებისთვის. მომსახურების მიწოდება ხდება დროთა განმავლობაში და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მომსახურების გაწევა მოხდა. ამონაგები გამოითვლება მიწოდების ფაქტობრივი მანძილების გამოყენებით თითოეული დილერის მდებარეობის მიხედვით.

დაფინანსების კომპონენტები. დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს საქონლისა და მომსახურების გადაცემიდან დროთა განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში, შემდეგი პროდუქციის ძირითად ხაზებში:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ავტომობილების რეალიზაცია	623,124	371,505
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	18,072	14,370
სატრანსპორტო მომსახურება	3,874	2,568
კატალოგების და სახელმძღვანელოების რეალიზაცია	68	50
გაყიდვის საკომისიო	-	(86)
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	645,138	388,407

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

ამონაგების აღიარების დრო ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვისთვის არის შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
დროის გარკვეულ მომენტში	641,264	385,839
დროთა განმავლობაში	3,874	2,568
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	645,138	388,407

გარე მომხმარებლებისგან მიღებული ამონაგები ქვეყნების მიხედვით:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
აზერბაიჯანი	331,714	218,027
საქართველო	253,090	143,683
სომხეთი	60,334	26,697
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	645,138	388,407

17 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ავტომობილების ღირებულება	517,879	320,724
სათადარიგო ნაწილების ღირებულება	13,291	10,486
სატრანსპორტო მომსახურება	3,590	2,434
კატალოგების და სახელმძღვანელოების ღირებულება	61	44
საგარანტიო ხარჯები /(აღდგენა)	(3,493)	3,713
მარაგების გაუფასურების აღდგენა, ნეტო	(116)	(40)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	531,212	337,361

18 სადისტრიბუციო ხარჯები

დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებელი. ანაზღაურება, ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო ფონდში, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასისა და სარგებლის ხარჯები	2,790	2,338
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	2,481	1,890
საბაჟო ხარჯები	1,058	355
სატრანსპორტო მომსახურება	799	506
ავტომობილის სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის საფასური	-	357
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	7,128	5,446

19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,452	1,215
პერსონალის ხელფასისა და სარგებლის ხარჯი	1,337	1,061
საოფისე ხარჯები	718	184
ტრენინგის ხარჯები	389	310
საბანკო ხარჯები	373	734
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	341	273
მოგზაურობის ხარჯი	311	176
პროფესიონალური მომსახურების საფასური *	189	179
საწვავის ხარჯი	163	151
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	135	140
დაზღვევის ხარჯი	104	68
კომუნალური ხარჯები	74	67
უსაფრთხოების მომსახურება	49	36
სხვა	605	297
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,240	4,891

(*) პროფესიული მომსახურება მოიცავს 165 ათას აშშ დოლარს (2022: 110 ათასი აშშ დოლარი) - რაც წარმოადგენს აუდიტისა და სხვა მომსახურების საფასურს, რომელიც გაწეულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

20 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით, აღირიცხება მუხლში “გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა” საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

მოგების გადასახადი დივიდენდებზე. 2023 წელს მესაკუთრეებისთვის გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 32,465 ათასი აშშ დოლარი (2022: 9,129 ათასი აშშ დოლარი) მოგების გადასახადით 5,819 ათასი აშშ დოლარი (2022: 1,621 ათასი აშშ დოლარი).

21 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და დაიცავს კომპანიის პოზიციას საგადასახადო კუთხით. შესაბამისად, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს აღრიცხული არ ყოფილა ანარიცხი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებისთვის.

სასამართლო დავა. საანგარიშგებო თარიღით, კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღით, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები(2022: ნული).

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება ვითარდება და ხელისუფლების ორგანოების სააღსრულებო პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით ნაკისრ ვალდებულებებს. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სამართალწარმოების ან კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, შეფასება არ არის შესაძლებელი, მაგრამ შესაძლოა არსებითი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არსებული სააღსრულებო კლიმატის პირობებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსდაცვითი ზიანისთვის.

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მართვისთვის ეყრდნობა მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს ყველა კლიენტისთვის/დილერისთვის და ითხოვს საბანკო გარანტიებს, როგორც გირაოს, გასანაღდებელი მოთხოვნების ნაშთებისთვის. სავაჭრო მოთხოვნები ჭარბადაა უზრუნველყოფილი საგარანტიო თანხებით.

ზღვრები. საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს და მტკიცდება მის მიერ. საკრედიტო რისკის წარმოქმნის მონიტორინგისთვის, ხორციელდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ემყარება სტრუქტურულ ანალიზს კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ წარმადობაზე. ხელმძღვანელობა განიხილავს და ახორციელებს ანგარიშს ნებისმიერ მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და აკვირდება მათ ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	1,053	(298)	755	13	(94)	(81)
ევრო	22	(273)	(251)	1	(3,144)	(3,143)
სხვა	-	(27)	(27)	-	(77)	(77)
სულ	1,075	(598)	477	14	(3,315)	(3,301)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

ათასი აშშ დოლარი	2023		2022	
	გავლენა მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარის გამყარება 10%-ით	76	64	(8)	(7)
ქართული ლარის გაუფასურება 10%-ით	(76)	(64)	8	7
ევროს გამყარება 10%-ით	(25)	(21)	(314)	(267)
ევროს გაუფასურება 10%-ით	25	21	314	267
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	(3)	(2)	(8)	(7)
სხვა ვალუტის გაუფასურება 10%-ით	3	2	8	7

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მისი ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე. კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს და მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება სახელშეკრულებო პროცენტის ფასის ხელახალ დადგენას.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური საფუძვლის შენარჩუნებას, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს მოიცავს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დიფერენცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ უნარი ჰქონდეს სწრაფად და უპრობლემოდ უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 12). ხელმძღვანელობის შეფასებით შესაძლებელია ლიკვიდობის პორტფელის - ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები - ერთ დღეში ნაღდ ფულზე რეალიზება, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაფარად.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში განმარტებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია და მოიცავს მთლიან ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვის გარეშე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

<i>ათასი აშშ დოლარი</i>	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	13	25	113	25	-	176
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	25,744	-	-	-	-	25,744
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირითადი თანხების და პროცენტის გადახდების ჩათვლით	25,757	25	113	25	-	25,920

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

<i>ათასი აშშ დოლარი</i>	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	13	25	113	176	-	327
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	71,034	-	-	-	-	71,034
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირითადი თანხების და პროცენტის გადახდების ჩათვლით	71,047	25	113	176	-	71,361

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვის მეშვეობით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღი ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას დივიდენდების გადახდის შემდეგ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 155,744 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022 წ.: 54,955 ათასი აშშ დოლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

24 სამართლიანი ღირებულების განმარტება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არა-დაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისთვის იყენებს განსჯას.

თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად და სჯერა, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომლებსთვისაც სამართლიანი ღირებულება განმარტებულია

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და საბალანსო ღირებულებები:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფინანსური აქტივები								
<i>ამორტიზებული ღირებულებით</i>								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	63,951	-	63,951	-	23,835	-	23,835
- სავაჭრო მოთხოვნები	-	11,665	-	11,665	-	3,546	-	3,546
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	259	-	259	-	122	-	122
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	750	750	-	-	750	750
სულ აქტივები	-	75,875	750	76,625	-	27,503	750	28,253

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულებები	-	25,744	-	25,744	-	71,034	-	71,034
სულ ვალდებულებები	-	25,744	-	25,744	-	71,034	-	71,034

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით.

24 სამართლიანი ღირებულების განმარტება (გაგრძელება)

არაკოტირებული, ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.



შპს ტოიოტა კავკასია

მმართველობის ანგარიშგება

1 კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2023:

ზოგადი ინფორმაცია: შპს ტოიოტა კავკასია („კომპანია“) მდებარეობს საქართველოში. იგი დაარსდა 2006 წლის 18 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს) და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ტოიოტა ცუშო კორპორეიშენი (Toyota Tsusho Corporation), რომელიც წილის 100% -ის მფლობელია.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისთვის. კომპანია მოქმედებს Toyota Tsusho Corporation-სა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, რის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გაყიდვაზე. კომპანიას ასევე აქვს წარმომადგენლობითი ოფისი, რომელიც მდებარეობს ქ. ბაქოში, აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2013 წლიდან და ზედამხედველობას უწევს Lexus-ისა და Toyota-ს ადგილობრივ სადილეროებს. იგი ანგარიშვალდებულია კომპანიის სათაო ოფისისადმი საქართველოში. ქ. ბაქოში არსებული წარმომადგენლობა ცალკე არ აწარმოებს ოპერაციებს და ხელმძღვანელობის მიერ განიხილება როგორც ხარჯების ცენტრი.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გლდანის რაიონი, ელევთერ ანდრონიკაშვილის ქ., N 31ბ, საქართველო, 0189, თბილისი. კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის #61-ში, ბიზნეს-ცენტრში „მოზაიკა“.



კომპანიის მისია. შპს ტოიოტა კავკასია, როგორც ტოიოტას გლობალური ჯგუფის ნაწილი, მშობელი საწარმოს შიდა პოლიტიკისა და კულტურული ღირებულებების მიმდევარია. ტოიოტას ბრენდის ფილოსოფია ყოველთვის უკეთესი მანქანების დამზადებაა, იმისათვის, რომ გულახდილობის პატივისცემის ცნებებზე დაყრდნობით, კავკასიის რეგიონში მომხმარებლების ცხოვრება გაამდიდროს. ეს, სამომავლოდ, განვითარებადი და ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნებას ნიშნავს, ზრდად მრავალფეროვან კლიენტებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან სამართლიანი და ღია კომუნიკაციის მეშვეობით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ამ მოქმედებით, კომპანია ხდება ყველაზე მეტად სანდო და საყვარელი ყველა იმ ქალაქში, სადაც მისი

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელევთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშვათ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



წარმომადგენლობა არსებობს. ამ მიდგომას თანმიმდევრულად კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს მრავალფეროვანი ინიციატივების სახით, იმისთვის, რომ დახმარება გასწიოს იმ სოციალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც თავს იჩენენ იმ რეგიონებში, სადაც კომპანიის წარმომადგენლობა არსებობს. ტოიოტა, როგორც ბრენდი, გეგმავს, რომ ავტომობილების წარმოებაში მის მიერ დაგროვილი გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცოდნა გამოიყენოს „ადგილობრივი საზოგადოებების ცხოვრების გამდიდრებასა და განვითარებაში“ თავისი წვლილის შესატანად.

კომპანიის მიზნები. ტოიოტა, როგორც ბრენდი, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებს, მიზნად ისახავს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ განახორციელონ სოციალური აქტივობები, მოახდინონ თვითრეალიზაცია თავისი სამუშაოს საშუალებით და მათ საშუალება მისცეს გამოსცადონ აზროვნების, შექმნისა და მოქმედების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად, ორმხრივი ნდობითა და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და დაქირავებულ თანამშრომლებს შორის არსებობს. ასეთი ურთიერთობებისას კომპანია უმაღლეს პრიორიტეტად აწესებს მისი თანამშრომლების სტაბილურ დასაქმებას და აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს შრომითი გარემო, ამავედროულად დაქირავებული თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის წარმატება გაზარდონ.



ტოიოტამ, ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან სტრატეგიად მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წინ წაწევა დასახა. ხელმძღვანელობა მუშაობს იმაზე, რომ შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც მრავალფეროვანი შესაძლებლობისა და ღირებულებების მქონე კადრებს და თითოეულ ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს დადებით თვითრეალიზაციას. **მრავალფეროვანი** პერსპექტივები ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და პრობლემების გამოვლენას. ტოიოტა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ეს კონტრიბუციები კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, რათა დაამზადოს ყოველთვის საუკეთესო ავტომობილები.

2 კორპორაციული მმართველობა:

შპს „ტოიოტა კავკასია“ მდგრადი ზრდის და კორპორაციული ღირებულების სტაბილური, გრძელვადიანი ამაღლების საკითხს განიხილავს, როგორც ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ამ პრიორიტეტების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან (აქციონერებთან, მომხმარებლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და თანამშრომლებთან) და იმ პროდუქტებით მუდმივ უზრუნველყოფას, რომლებიც მომხმარებლებს დააკმაყოფილებს. ამ მიზნით, ტოიოტა მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს კორპორაციული მმართველობა.

ფუნდამენტური მიდგომა - ტოიოტას, როგორც ბრენდის, სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია, რომ ტოიოტა „პატივს სცემს ყველა ერის კანონის ენასა და სულისკვეთებას და აწარმოებს ღია და სამართლიან ბიზნეს საქმიანობას, რათა გახდეს მსოფლიოს კარგი კორპორაციული მოქალაქე“. შპს „ტოიოტა კავკასია“ მშობელი საწარმოს ინიციატივის ერთგულია (რაც ტოიოტას ბრენდს განსაზღვრავს) და თვლის, რომ ამ პრინციპის დაცვით, მას შეუძლია შეასრულოს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს მისი დაცვა. ტოიოტას ქვეყნის კოდექსის შემცველი ბროშურა ურიგდება ყველა თანამშრომელს, რათა მათ უკეთ შეძლონ კოდექსის პრაქტიკაში გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში, როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



2023 ან 2022 წლებში კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე სახის კვლევისა და განვითარების სამუშაოებში.

(i) თანამშრომლებთან ურთიერთობა. შპს „ტოიოტა კავკასიის“ პერსონალის რაოდენობა 72 - 79-ის ფარგლებშია (2022 წ.: 79 - 89). კომპანიას აქვს კარგად ჩამოყალიბებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და კომპანიის მიერ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კადრების დაქირავება ხდება.

Forbes Georgia-ს ბოლო პუბლიკაციის მიხედვით, კომპანია ამონაგების მიხედვით უმსხვილესი ქართული კომპანიების სიაში მე-7 ადგილს იკავებს, რასაც მეტად აშკარას ხდის მისი ხელფასების დონე, რომელიც აღემატება ქვეყანაში არსებულ საშუალო მაჩვენებელს. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას და მიზანმიმართულ ზომებს იღებს ამ მიმართულებით: მაგალითად, როგორცაა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეხვედრები მენეჯერებთან ერთად და კომპანიის შენობების ყოველთვიურად შემოწმება.

როგორც დამსაქმებელი, შპს ტოიოტა კავკასია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა უზრუნველყოს პერსონალის მიერ მომხმარებელთათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურების გაწევა. კომპანია შრომისმოყვარე, მიზანდასახულ პირებს სთავაზობს განსაკუთრებულ წინსვლის შესაძლებლობებს, კონკურენტუნარიან ხელფასსა და პოზიტიურ სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული, რასაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ყურადღებით უწევს მონიტორინგს.

(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და დილერებთან. კომპანიამ სანდო ურთიერთობა დაამყარა კავკასიის რეგიონის დილერებთან. დილერების ზრდა და ძლიერი პოზიციონირება კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვნად მხარდაჭერილია კომპანიის მიერ. შპს „ტოიოტა კავკასიამ“ დილერებისთვის დანერგა შიდა სისტემა, რომელიც ისეთი ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საშუალებას იძლევა, როგორცაა შეკვეთის დეტალები (ავტომობილის და სათადარიგო ნაწილების მახასიათებლები) და მიწოდების დრო.

შპს „ტოიოტა კავკასია“ ავტომობილებსა და სათადარიგო ნაწილებს Toyota Tsusho Corporation -სგან და Toyota Motor Europe- სგან იძენს (მწარმოებელი) და უზრუნველყოფს ინდივიდუალური შესყიდვის თითოეული პროდუქტის ხარისხს.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო განყოფილება დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების გასაცნობად, რომლებსაც შესაძლოა კომპანიაზე ჰქონდეს გავლენა.

გარდა ამისა, კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს გარე (აუთსორსინგი) მომსახურებებს საგადასახადო კონსულტაციებისთვის. ყოველწლიურად კომპანია ამზადებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ანგარიშს ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კომპანიას აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ლიმიტირებული ისტორია და არ გააჩნია მნიშვნელოვანი ჯარიმებისა და / ან საურავების ისტორია.

3 მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები:

კომპანია ახორციელებს ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციას კავკასიის რეგიონის ქვეყნებში - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. კომპანია ყოველწლიურად აძლევს ავტორიზირებული დილერობის უფლებას იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. ავტორიზირებული დილერობის უფლება ლექსუსისა და ტოიოტას ბრენდებზე ცალკე გაიცემა.

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა სომხეთის სადილეროსთან, რომელიც ადრე რუსეთიდან მარაგდებოდა. სადილეროების განახლების გარდა, 2023 წელს ინიცირებული იყო სხვა მნიშვნელოვანი შეთანხმებები, რომლებიც

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.



მოიცავდა იჯარის ხელშეკრულებას ახალ ტერიტორიაზე ავჭალაში, რომელიც კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტთან მიმდებარედ მდებარეობს. შემდგომში, ახალი იჯარით აღებული ტერიტორია გარემონტდა და მთლიანად ინტეგრირებულ იქნა, რის შედეგადაც ავტომობილების საწყობის მოცულობა 600-700 ერთეულით გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შედეგების მთავარ მაჩვენებლებზე:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ამონაგები	645,138	388,407
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	531,212	337,361
მთლიანი მოგების მარჟა	17.7%	13.1%
წმინდა მოგების მარჟა	14.5%	10%
სულ აქტივები	141,676	130,432
სულ კაპიტალი	115,744	54,955

ამონაგების მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად განპირობებულია უკრაინაში ომის გამო რუსეთზე სანქციების დაწესებით. ისტორიულად, ქართულ ბაზარზე გაცილებით მეტი მოთხოვნა იყო, ვიდრე კომპანიას შეეძლო დაეკმაყოფილებინა, რადგან Toyota Motor Europe-ს არ შეეძლო საკმარისი ავტომობილების მიწოდება. ომის შემდეგ კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახდა რუსეთის და უკრაინის მარაგი, რამაც გამოიწვია გასაყიდად ხელმისაწვდომი ავტომობილების რაოდენობის ზრდა, რის შედეგადაც მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცა მეტი შეკვეთა განეთავსებინა. ამან ასევე იმოქმედა გაყიდვებზე აზერბაიჯანში, რომელიც გაიზარდა 53%-ით 2022 წელთან შედარებით. გარდა ამისა, ტოიოტას რუსული ბაზრიდან გასვლამდე Toyota Armenia და Lexus Armenia-ს რუსული სადილეროს მეშვეობით მარაგდებოდა. ბაზრიდან გასვლის შედეგად, მიწოდების ხაზი ხელახლა აეწყო და სომხური ბაზრის მიწოდება მიმდინარეობს ტოიოტა კავკასიის მეშვეობით.

COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების შერბილების შემდეგ საქართველოს ეკონომიკა, გლობალურ ეკონომიკასთან ერთად, აღდგენის ფაზაში შევიდა, რომლის ფარგლებში დაიწყო „ლოქდაუნის“ რეგულაციების შემსუბუქება. ეს კომპანიას დაეხმარა მარკეტინგის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაში დილერების მონაწილეობით და გაყიდვების ზრდის ტემპის გაზრდაში, ასევე, მომდევნო წლებში გაყიდვების ზრდის დაგეგმვაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.




Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner


Balance Sheet Breakdown, USD million



TA: Total Assets L&E: Liability and Equity

Current Assets Non-Current Assets Liability Equity

Units of Vehicles in Stock



მთლიანი აქტივების ზრდაზე გავლენა იქონია ცვლილებებმა მის ძირითად კომპონენტებში: სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მარაგების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვლილებებმა. 2023 წელს კომპანიის გაყიდვების ძლიერი მაჩვენებლები შესამჩნევად აისახა მის მოკლევადიან აქტივებში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაიზარდა 198%-ით და ჯამში 12,323-ს მიაღწია, რაც ძირითადად დაკავშირებულია ავტომობილების გაყიდვებთან.

მარაგების ყველაზე დიდი წილი ავტომობილებს შეადგენდა. წლის ბოლოს ჩატარებულმა ანალიზმა, როგორც ფულადი ღირებულების, ასევე რაოდენობის გათვალისწინებით, აჩვენა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ პროდუქციის ხაზებს: Lexus RX, Toyota Highlander, Toyota Rav4, LC 300. 2023 წელს, ამ მოდელებმა დაიკავეს პოზიციები კომპანიის გაყიდვების მიხედვით 10 საუკეთესო ავტომობილების სიაში.

Lexus-ისა და Toyota-ს ბრენდის მოდელები მუდმივად მაღალი მოთხოვნით სარგებლობენ კავკასიის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ მეორადი მანქანების ბაზარი უფრო დიდია, Lexus-ისა და Toyota-ს ბრენდის მოდელების მიწოდება რთულია, რადგან ავტომობილების იმპორტის ძირითადი ქვეყანა არის აშშ, სადაც ამ ბრენდებს, განსაკუთრებით Lexus-ს უფრო დაბალი პოპულარობა აქვთ. ამის საპასუხოდ მომხმარებლები ხშირად ირჩევენ ახალ ავტომობილებს ავტორიზებული ცენტრებიდან. გარდა ამისა, Lexus-ის მოდელების ძვირადღირებულ ავტომობილებად აღქმა, მომხმარებლისთვის მამოძრავებელია ავტომობილის შენაძენის ოფიციალურ დილერებთან განხორციელებისთვის. რუსეთის შემთხვევაში, ავტომობილების ყველაზე უპირატესი ბრენდი ასევე Lexus იყო. რუსეთში Lexus-ის მოდელებზე მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, Lexus-ის ავტომობილების მნიშვნელოვანი მარაგი არსებობდა. ომის შემდეგ ამ ჭარბი მარაგის ადგილმდებარეობა გადატანილ იქნა საქართველოში, რამაც საშუალება მისცა კომპანიას დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა კავკასიის რეგიონში. მარაგების ბრუნვა გაიზარდა 6-დან 8-ჯერ 2023 წელს, რაც მიუთითებს მარაგების მართვის გაუმჯობესებულ ეფექტურობაზე.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით: საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (გაზრდილი შემოსავლების შედეგად), საფინანსო საქმიანობაში გამყენებული წმინდა ფულადი სახსრების უფრო მაღალი მაჩვენებელი (დივიდენდის გადახდის შედეგად) და საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (დაკავშირებულია ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში ინვესტიციებთან).

აღსანიშნავი ცვლილებები გრძელვადიან აქტივებში დაკავშირებული იყო არამატერიალურ აქტივებთან და ავტომობილებთან, რაც განპირობებული იყო დამატებით (როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები/ გამოწერების შეძენები).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.




Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

Cash Flow Statement, USD Thousands



Breakdown of P/L, USD Thousands



სულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებაზე გავლენა იქონია გაზრდილმა შემოსავლებმა და კომპანიის გადაწყვეტილებამ გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი 32,465 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის ავტორიზებული კაპიტალი დარჩა 10 მილიონი აშშ დოლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 10 მილიონი აშშ დოლარი).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-7 შენიშვნაში..

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში..

ქეთევან ზეზუაშვილი

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17- „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი განიმარტა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ცვლილებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბრის და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები დაკავშირებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 15-ში მოცემულ მოთხოვნებს და გაყიდვის სახით უნდა იქნეს აღრიცხული. ცვლილებებით მოითხოვება, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ამ ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შემდგომ შეაფასოს იმგვარად, რომ არ აღიაროს მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული რაიმე შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს მსგავსი შემოსულობის გადავადებას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ცვალებადი გადახდების განხორციელების მოვალეობა და ის დამოკიდებული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბრის, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამოწვევის გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩიუენ ზეიუ ჭიუ

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე. განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ზეზუაშვილი

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიისა და საბოლოო მკონტროლებელი მხარის შესახებ ინფორმაცია განმარტებულია პირველ შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	7	160
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	750
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(24,099)	(7,794)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	7	1,151
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	750
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(66,727)	(3,046)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა შემოსავალი	(18)	16
საგარანტიო ხარჯები (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება)	-	2,464
სადაზღვევო მოთხოვნები	-	1,150
საქონლის შესყიდვა	(474,583)	(15,842)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები	(9)	(122)
სხვა მომსახურებები	-	(110)

რეთკ ბუიუზუ

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა შემოსავალი	36	8
საგარანტიო ხარჯები (გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება)	-	(3,146)
სადაზღვევო მოთხოვნები	-	995
საქონლის შესყიდვა	(370,934)	(13,202)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურებები	(4)	(106)
სხვა მომსახურებები	-	(447)

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. კომპენსაცია, რომელიც ხელმძღვანელ პირებზე გაიცემა მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე, შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 626 ათას აშშ დოლარსა და 571 ათას აშშ დოლარს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად.

ქეთევან ჭეიფაშვილი

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, საჭიროებისამებრ.

გასვლისას მიღებული შემოსულობები და ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება, საოპერაციო შემოსავალი/(ზარალები), ნეტო - ნაწილში

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენ ღირებულებაზე გადასანაწილებლად მათ დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში:

შენობა-ნაგებობები	20 წელი
ავტომობილები	5 წელი
კომპიუტერული აღჭურვილობა	3-7 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-7 წელი
სხვა	3 წელი

ძირითადი საშუალებების მუხლების ნარჩენი ღირებულებები შეფასდა, როგორც ნულის ტოლი. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, 3-5 წლის განმავლობაში.

შენიშვნა: სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

თუ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა იქნებოდა 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გავლენა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე იქნებოდა 175 ათასი აშშ დოლარით გაზრდა და შემცირება 110 ათასი აშშ დოლარით (2022: 168 ათასი აშშ დოლარით გაზრდა და შემცირება 89 ათასი აშშ დოლარით).

ქეთევან ზუბაძე

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტომობი- ლები	კომპიუტ. აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვი- ლობა	სხვა	არამატერია- ლური აქტივები	დაუმთავრებ- ელი შენიშვნა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის								
მდგომარეობით	10,634	787	164	906	10	2,344	-	14,845
დაგროვილი ცვეთა	(76)	(336)	(60)	(125)	(9)	(341)	-	(947)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	10,558	451	104	781	1	2,003	-	13,898
დამატებები	-	327	50	123	21	809	27	1,357
გადაცემა	-	-	-	-	26	-	(26)	-
გასვლები/ჩამოწერები	-	(361)	(6)	(8)	-	(123)	(1)	(499)
ცვეთის ხარჯი	(183)	(110)	(52)	(190)	(12)	(668)	-	(1,215)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	219	5	8	-	123	-	355
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	10,375	526	101	714	36	2,144	-	13,896
ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის								
მდგომარეობით	10,634	753	208	1,021	57	3,030	-	15,703
დაგროვილი ცვეთა	(259)	(227)	(107)	(307)	(21)	(886)	-	(1,807)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	10,375	526	101	714	36	2,144	-	13,896
დამატებები	-	528	47	203	453	1,202	-	2,433
გასვლები/ჩამოწერები	-	(340)	(94)	(37)	-	(82)	-	(553)
ცვეთის ხარჯი	(183)	(145)	(55)	(206)	(38)	(825)	-	(1,452)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	130	93	37	-	82	-	342
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,192	699	92	711	451	2,521	-	14,666
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს								
მდგომარეობით	10,634	941	161	1,187	510	4,150	-	17,583
დაგროვილი ცვეთა	(442)	(242)	(69)	(476)	(59)	(1,629)	-	(2,917)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	10,192	699	92	711	451	2,521	-	14,666

ქეთევან ჭყეშელაშვილი

9 მარაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება უნიკალური იდენტიფიკატორის საფუძველზე, ხოლო სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მარაგების ღირებულება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით (FIFO).

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
საქონელი გზაში	18,195	59,032
გასაყიდი ავტომობილები	28,215	25,554
სათადარიგო ნაწილები	3,012	2,921
სხვა	8	3
სულ მარაგები 31 დეკემბერს	49,430	87,510

2023 წელს მარაგის გაუფასურების აღდგენის ღირებულება იყო 116 ათასი აშშ დოლარი (2022 წ.: 40 ათასი აშშ დოლარი).

ქეთევან ჭყეუაშვილი

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა****სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული ანარიცხით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლასიფიკაციას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში ახორციელებს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. კომპანიის მიზანია აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”).

გაუფასურება-საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვიან პერიოდზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, განახორციელონ მოთხოვნების ანგარიშსწორება.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	11,665	3,546
სხვა ფინანსური მოთხოვნები	259	122
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	-	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	11,924	3,668
გადახდილი ავანსები	399	469
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,323	4,137

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომელიც კლიენტების (ავტომობილების დილერები) მიერ არის მოწოდებული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარანტირებული თანხა შეადგენდა 11,665 ათას აშშ დოლარს (2022: 3,546 ათასი აშშ დოლარი).

ხელმოწერა

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულების წარდგენით ცალკე (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა უტოლდება ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას („ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია („არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები“). უზრუნველყოფის გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:		
- საბანკო გარანტიით	11,665	15,200

უზრუნველყოფის გავლენა 2022 წლის 31 დეკემბერს:

ათასი აშშ დოლარი	ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია:		
- საბანკო გარანტიით	3,546	10,650

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია საპროგნოზო საფუძველზე აფასებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

ფულადი სახსრები ბანკში ინახება საქართველოს საუკეთესო ბანკებში, რომელთაგან ყველას გააჩნია “BB რეიტინგი” Fitch რეიტინგების საფუძველზე 2023 და 2022 წლებში, შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისათვის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება თანხით, რომელიც ტოლია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილის, რომელიც მომდევნო 12 თვის მანძილზე, ან სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე (თუ ის უფრო მოკლეა)(12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) შესაძლო დეფოლტის მოვლენით არის გამოწვეული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნულის ტოლია.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო ნაშთები	63,951	23,835
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	63,951	23,835

ქართულ ბანკებში შენახული ფულადი სახსრები აშშ დოლარში დენომინირებული ფულადი სახსრები წელიწადში საშუალოდ 1.75% , ხოლო ქართულ ლარში დენომინირებული ფულადი სახსრები 9% პროცენტს გამოიმუშავებს.

ქეთევან ზეიფაძე

12 საწესდებო კაპიტალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის განახლებული წესდება სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 2023 წლის 19 დეკემბერს და საწესდებო კაპიტალად განისაზღვრა 16,897 ათასი ლარი, 10 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის სავალდებულო სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს.

კომპანიის 100% ფლობილია „ტოიოტა ცუშო კორპორეიშენის“ მიერ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერს: 10 მილიონი აშშ დოლარი). 2023 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 32,465 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022: 9,129 ათასი აშშ დოლარი)

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,744	68,146
საგარანტიო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება	-	2,888
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზებული ღირებულებით	25,744	71,034
მიღებული ავანსები	6	4
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	25,750	71,038

14 მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან კომპანიამ შემდეგი ვალდებულებები აღიარა:

ათასი აშშ დოლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
სახელშეკრულებო ვალდებულებები – მომხმარებლებისგან მიღებული ავანსი	13	4,077
სულ მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	4,077

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით მოცემულ პერიოდში აღიარებულმა ამონაგებმა შეადგინა 33,667 ათასი აშშ დოლარი (2022: 26,697 ათასი აშშ დოლარი).

2023 წლის 31 დეკემბერს სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთი სრულად წარმოადგენს გრძელვადიან ხელშეკრულებებზე, რომლებიც სრულად არის შესასრულებელი, განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებულ თანხას. ხელმძღვანელობა მოელის, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე განაწილებული გარიგების ფასის 100 % (13 ათასი აშშ დოლარი) ამონაგების სახით აღიარდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი ხელშეკრულება გაფორმებულია ერთწლიან ან უფრო ნაკლები ხანგრძლივობის პერიოდებზე ან ანგარიშსწორება მოითხოვება დახარჯული დროის მიხედვით. როგორც ფასს 15-ით არის ნებადართული, აღნიშნულ შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე განაწილებული გარიგების ფასი შენიშვნებში განმარტებული არ არის.

ქეთევან ჯეიუიშვილი

15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების დარიცხული დანახარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები და კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი			2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		
	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 1 იანვარს	-	304	304	-	94	94
ფულადი ნაკადები						
სესხის ათვისება	28,000	-	28,000	19,000	-	19,000
ბირი თანხის დაფარვა	(28,000)	(135)	(28,135)	(19,000)	(141)	(19,141)
გადახდილი პროცენტი	(781)	(16)	(797)	(41)	(20)	(61)
არაფულადი ცვლილებები						
დარიცხული პროცენტი	781	16	797	41	20	61
ახალი იჯარა	-	-	-	-	408	408
იჯარის მოქმედების სფეროს შემცირება	-	-	-	-	(57)	(57)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 31 დეკემბერს	-	169	169	-	304	304

ნასესხები სახსრების ცვლილება წარმოადგენს ბანკისგან 5.68%-დან 6.73%-მდე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმე მოკლევადიანი სესხის გამოტანას. სესხის თანხა სრულად იქნა დაფარული მოცემული პერიოდის განმავლობაში. კომპანიას 30 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის რევოლვური საკრედიტო ხაზი აქვს ბანკში.

ქეთევან ჭყავიშვილი

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა****ამონაგების აღიარება**

კომპანია თავის ამონაგებს გამოიმუშავებს საქონლის საბითუმო ვაჭრობიდან მის ოფიციალურ დილერებთან საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. კომპანია ამონაგების მნიშვნელოვან ნაწილს გამოიმუშავებს ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მოსალოდნელი დანახარჯებისა და ხარჯი-პლუს მარჟის დამატების საფუძველზე.

საქონლის გაყიდვა. ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების, კატალოგების და სახელმძღვანელოების გაყიდვები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ, როდესაც ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემა, როდესაც საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი სრულად გადაეცემა მომხმარებელს, ხელშეკრულებებისთვის შეთანხმებული საერთაშორისო სავაჭრო პირობების (Incoterms) შესაბამისად.

ავტომობილების გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების ოდენობა აღიარდება თითოეული ცალკეული ავტომობილის შექმნილი (build-up) ფასის მიხედვით. რომელიც გამოითვლება საბაზისო ფასებს დამატებული აქსესუარების, ფერისა და სხვა სპეციფიკაციების თანხების გამოყენებით. სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება გაყიდული მუხლების ფასების ჩამონათვალის მიხედვით.

ფასდაკლებით გაყიდვებიდან ამონაგები აღიარებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასებზე დაყრდნობით, შეფასებული მოცულობითი ფასდაკლების გარეშე. დაგროვილი გამოცდილება გამოიყენება ფასდაკლებების დადგენისა და მიწოდებისთვის, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმ დონემდე, სადამდეც იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვან გაუქმებას ადგილი არ ექნება, მაღალია.

მომსახურების გაყიდვა. კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირების მომსახურებას აზერბაიჯანსა და სომხეთში გაყიდული მანქანებისა და სათადარიგო ნაწილებისთვის. მომსახურების მიწოდება ხდება დროთა განმავლობაში და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მომსახურების გაწევა მოხდა. ამონაგები გამოითვლება მიწოდების ფაქტობრივი მანძილების გამოყენებით თითოეული დილერის მდებარეობის მიხედვით.

დაფინანსების კომპონენტები. დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რომლებიც საბაზრო პრაქტიკისთვისაა დამახასიათებელი. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს საქონლისა და მომსახურების გადაცემიდან დროთა განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში, შემდეგი პროდუქციის ძირითად ხაზებში:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ავტომობილების რეალიზაცია	623,124	371,505
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	18,072	14,370
სატრანსპორტო მომსახურება	3,874	2,568
კატალოგების და სახელმძღვანელოების რეალიზაცია	68	50
გაყიდვის საკომისიო	-	(86)
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	645,138	388,407

ხელმოწერა

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

ამონაგების აღიარების დრო ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვისთვის არის შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
დროის გარკვეულ მომენტში	641,264	385,839
დროთა განმავლობაში	3,874	2,568
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	645,138	388,407

გარე მომხმარებლებისგან მიღებული ამონაგები ქვეყნების მიხედვით:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
აზერბაიჯანი	331,714	218,027
საქართველო	253,090	143,683
სომხეთი	60,334	26,697
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	645,138	388,407

17 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ავტომობილების ღირებულება	517,879	320,724
სათადარიგო ნაწილების ღირებულება	13,291	10,486
სატრანსპორტო მომსახურება	3,590	2,434
კატალოგების და სახელმძღვანელოების ღირებულება	61	44
საგარანტიო ხარჯები /(აღდგენა)	(3,493)	3,713
მარაგების გაუფასურების აღდგენა, ნეტო	(116)	(40)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	531,212	337,361

ქეთევან ჭყეუშვილი

18 სადისტრიბუციო ხარჯები

დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებელი. ანაზღაურება, ხელფასები, პენსიები საქართველოს საპენსიო ფონდში, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასისა და სარგებლის ხარჯები	2,790	2,338
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	2,481	1,890
საბაჟო ხარჯები	1,058	355
სატრანსპორტო მომსახურება	799	506
ავტომობილის სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის საფასური	-	357
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	7,128	5,446

19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,452	1,215
პერსონალის ხელფასისა და სარგებლის ხარჯი	1,337	1,061
საოფისე ხარჯები	718	184
ტრენინგის ხარჯები	389	310
საბანკო ხარჯები	373	734
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	341	273
მოგზაურობის ხარჯი	311	176
პროფესიონალური მომსახურების საფასური *	189	179
საწვავის ხარჯი	163	151
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	135	140
დაზღვევის ხარჯი	104	68
კომუნალური ხარჯები	74	67
უსაფრთხოების მომსახურება	49	36
სხვა	605	297
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,240	4,891

(*) პროფესიული მომსახურება მოიცავს 165 ათას აშშ დოლარს (2022: 110 ათასი აშშ დოლარი) - რაც წარმოადგენს აუდიტისა და სხვა მომსახურების საფასურს, რომელიც გაწეულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ქეთევან ზეგუშაძე

20 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით, აღირიცხება მუხლში "გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა" საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

მოგების გადასახადი დივიდენდებზე. 2023 წელს მესაკუთრებისთვის გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 32,465 ათასი აშშ დოლარი (2022: 9,129 ათასი აშშ დოლარი) მოგების გადასახადით 5,819 ათასი აშშ დოლარი (2022: 1,621 ათასი აშშ დოლარი).

ქეთევან ბერიძე

21 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და დაიცავს კომპანიის პოზიციას საგადასახადო კუთხით. შესაბამისად, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს აღრიცხული არ ყოფილა ანარიცხი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებისთვის.

სასამართლო დავა. საანგარიშგებო თარიღით, კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღით, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები (2022: ნული).

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება ვითარდება და ხელისუფლების ორგანოების სააღსრულებო პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით ნაკისრ ვალდებულებებს. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სამართალწარმოების ან კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, შეფასება არ არის შესაძლებელი, მაგრამ შესაძლოა არსებითი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არსებული სააღსრულებო კლიმატის პირობებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსდაცვითი ზიანისთვის.

ხიჯაბ ბუიუიშვილი

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მართვისთვის ეყრდნობა მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს ყველა კლიენტისთვის/დილერისთვის და ითხოვს საბანკო გარანტიებს, როგორც გირაოს, გასანაღდებელი მოთხოვნების ნაშთებისთვის. სავაჭრო მოთხოვნები ჭარბადაა უზრუნველყოფილი საგარანტიო თანხებით.

ზღვრები. საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს და მტკიცდება მის მიერ. საკრედიტო რისკის წარმოქმნის მონიტორინგისთვის, ხორციელდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ემყარება სტრუქტურულ ანალიზს კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ წარმადობაზე. ხელმძღვანელობა განიხილავს და ახორციელებს ანგარიშს ნებისმიერ მნიშვნელოვან ურთიერთკავშირზე უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და აკვირდება მათ ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროვიზს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ხელმოწერა

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	1,053	(298)	755	13	(94)	(81)
ევრო	22	(273)	(251)	1	(3,144)	(3,143)
სხვა	-	(27)	(27)	-	(77)	(77)
სულ	1,075	(598)	477	14	(3,315)	(3,301)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

ათასი აშშ დოლარი	2023		2022	
	გავლენა მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარის გამყარება 10% -ით	76	64	(8)	(7)
ქართული ლარის გაუფასურება 10% -ით	(76)	(64)	8	7
ევროს გამყარება 10%-ით	(25)	(21)	(314)	(267)
ევროს გაუფასურება 10% -ით	25	21	314	267
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	(3)	(2)	(8)	(7)
სხვა ვალუტის გაუფასურება 10%-ით	3	2	8	7

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მისი ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე. კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს და მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება სახელშეკრულებო პროცენტის ფასის ხელახალ დადგენას.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე.

ბიუჯეტ ბიუჯეტ

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური საფუძვლის შენარჩუნებას, რაც ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს მოიცავს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დიფერენცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ უნარი ჰქონდეს სწრაფად და უპრობლემოდ უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდობის მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 12). ხელმძღვანელობის შეფასებით შესაძლებელია ლიკვიდობის პორტფელის - ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები - ერთ დღეში ნაღდ ფულზე რეალიზება, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაფარად.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში განმარტებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია და მოიცავს მთლიან ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვის გარეშე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი აშშ დოლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	13	25	113	25	-	176
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	25,744	-	-	-	-	25,744
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირითადი თანხების და პროცენტის გადახდების ჩათვლით	25,757	25	113	25	-	25,920

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

ათასი აშშ დოლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	13	25	113	176	-	327
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	71,034	-	-	-	-	71,034
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირითადი თანხების და პროცენტის გადახდების ჩათვლით	71,047	25	113	176	-	71,361

Handwritten signature: ქეთევან ხუციშვილი

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვის მეშვეობით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღი ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას დივიდენდების გადახდის შემდეგ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 155,744 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022 წ.: 54,955 ათასი აშშ დოლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

24 სამართლიანი ღირებულების განმარტება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არა-დაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისთვის იყენებს განსჯას.

თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად და სჯერა, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომლებსთვისაც სამართლიანი ღირებულება განმარტებულია

იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და საბალანსო ღირებულებები:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფინანსური აქტივები								
<i>ამორტიზებული ღირებულებით</i>								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	63,951	-	63,951	-	23,835	-	23,835
- სავაჭრო მოთხოვნები	-	11,665	-	11,665	-	3,546	-	3,546
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	259	-	259	-	122	-	122
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	750	750	-	-	750	750
სულ აქტივები	-	75,875	750	76,625	-	27,503	750	28,253

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულებები	-	25,744	-	25,744	-	71,034	-	71,034
სულ ვალდებულებები	-	25,744	-	25,744	-	71,034	-	71,034

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით.

ქეთევან ნუკიძე

24 სამართლიანი ღირებულების განმარტება (გაგრძელება)

არაკონტრირებული, ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

შპს ტოიოტა კავკასია

მმართველობის ანგარიშგება

1 კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2023:

ზოგადი ინფორმაცია: შპს ტოიოტა კავკასია („კომპანია“) მდებარეობს საქართველოში. იგი დაარსდა 2006 წლის 18 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს) და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ტოიოტა ცუშო კორპორეიშენი (Toyota Tsusho Corporation), რომელიც წილის 100%-ის მფლობელია.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომანქანებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ მიყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისთვის. კომპანია მოქმედებს Toyota Tsusho Corporation-სა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, რის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გაყიდვაზე. კომპანიას ასევე აქვს წარმომადგენლობითი ოფისი, რომელიც მდებარეობს ქ. ბაქოში, აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2013 წლიდან და ზედამხედველობას უწევს Lexus-ისა და Toyota-ს ადგილობრივ სადილეროებს. იგი ანგარიშვალდებულია კომპანიის სათაო ოფისისადმი საქართველოში. ქ.ბაქოში არსებული წარმომადგენლობა ცალკე არ აწარმოებს ოპერაციებს და ხელმძღვანელობის მიერ განიხილება როგორც ხარჯების ცენტრი.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გლდანის რაიონი, ელევთერ ანდრონიკაშვილის ქ., N 31ბ, საქართველო, 0189, თბილისი. კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის #61-ში, ბიზნეს-ცენტრში „მოზაიკა“.



კომპანიის მისია. შპს ტოიოტა კავკასია, როგორც ტოიოტას გლობალური ჯგუფის ნაწილი, მშობელი საწარმოს შიდა პოლიტიკისა და კულტურული ღირებულებების მიმდევარია. ტოიოტას ბრენდის ფილოსოფია ყოველთვის უკეთესი მანქანების დამზადებაა, იმისათვის, რომ გულახდილობისა პატივისცემის ცნებებზე დაყრდნობით, კავკასიის რეგიონში მომხმარებლების ცხოვრება გაამდიდროს. ეს, სამომავლოდ, განვითარებადი და ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნებას ნიშნავს, ზრდად მრავალფეროვან კლიენტებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან სამართლიანი და ღია კომუნიკაციის მეშვეობით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ამ მოქმედებით, კომპანია ხდება ყველაზე მეტად სანდო და საყვარელი ყველა იმ ქალაქში, სადაც მისი

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელევთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრევილგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ქეთევან ზეიწყაშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner



წარმომადგენლობა არსებობს. ამ მიდგომას თანმიმდევრულად კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს მრავალფეროვანი ინიციატივების სახით, იმისთვის, რომ დახმარება გასწიოს იმ სოციალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც თავს იჩენენ იმ რეგიონებში, სადაც კომპანიის წარმომადგენლობა არსებობს. ტოიოტა, როგორც ბრენდი, გეგმავს, რომ ავტომობილების წარმოებაში მის მიერ დაგროვილი გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცოდნა გამოიყენოს „ადგილობრივი საზოგადოებების ცხოვრების გამდიდრებასა და განვითარებაში“ თავისი წვლილის შესატანად.

კომპანიის მიზნები. ტოიოტა, როგორც ბრენდი, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებს, მიზნად ისახავს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ განახორციელონ სოციალური აქტივობები, მოახდინონ თვითრეალიზაცია თავისი სამუშაოს საშუალებით და მათ საშუალება მისცეს გამოსცადონ აზროვნების, შექმნისა და მოქმედების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად, ორმხრივი ნდობითა და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და დაქირავებულ თანამშრომლებს შორის არსებითია. ასეთი ურთიერთობებისას კომპანია უმაღლეს პრიორიტეტად აწესებს მისი თანამშრომლების სტაბილურ დასაქმებას და აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს შრომითი გარემო, ამავედროულად დაქირავებული თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის წარმატება გაზარდონ.



ტოიოტამ, ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან სტრატეგიად მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წინ წაწევა დასახა. ხელმძღვანელობა მუშაობს იმაზე, რომ შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც მრავალფეროვანი შესაძლებლობისა და ღირებულებების მქონე კადრებს და თითოეულ ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს დადებით თვითრეალიზაციას. **მრავალფეროვანი პერსპექტივები** ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და პრობლემების გამოვლენას. ტოიოტა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ეს კონტრიბუციები კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, რათა დაამზადოს ყოველთვის საუკეთესო ავტომობილები.

2 კორპორაციული მმართველობა:

შპს „ტოიოტა კავკასია“ მდგრადი ზრდის და კორპორატიული ღირებულების სტაბილური, გრძელვადიანი ამაღლების საკითხს განიხილავს, როგორც ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ამ პრიორიტეტების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას ყველა დანაშტერესებულ მხარესთან (აქციონერებთან, მომხმარებლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და თანამშრომლებთან) და იმ პროდუქტებით მუდმივ უზრუნველყოფას, რომლებიც მომხმარებლებს დააკმაყოფილებს. ამ მიზნით, ტოიოტა მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს კორპორაციული მმართველობა.

ფუნდამენტური მიდგომა - ტოიოტას, როგორც ბრენდის, სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია, რომ ტოიოტა „პატივს სცემს ყველა ერის კანონს ენასა და სულისკვეთებას და აწარმოებს ღია და სამართლიან ბიზნეს საქმიანობას, რათა გახდეს მსოფლიოს კარგი კორპორაციული მოქალაქე“. შპს „ტოიოტა კავკასია“ მშობელი საწარმოს ინიციატივის ერთგულია (რაც ტოიოტას ბრენდს განსაზღვრავს) და თვლის, რომ ამ პრინციპის დაცვით, მას შეუძლია შეასრულოს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს მისი დაცვა. ტოიოტას ქვეყნის კოდექსის შემცველი ბროშურა ურიგდება ყველა თანამშრომელს, რათა მათ უკეთ შეძლონ კოდექსის პრაქტიკაში გამოყენება საკუთარ ცხოვრებაში, როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ქვეყნური ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შეყვანილი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შედგომით მიიღეთ, გაუცხადებელი უნდა აღნოთოთ გამგზავნის. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი უბარების გარეშე.

ხელმოწერა



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

2023 ან 2022 წლებში კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე სახის კვლევისა და განვითარების სამუშაოებში.

(i) თანამშრომლებთან ურთიერთობა. შპს „ტოიოტა კავკასიის“ პერსონალის რაოდენობა 72 - 79-ის ფარგლებშია (2022 წ.: 79 - 89). კომპანიას აქვს კარგად ჩამოყალიბებული თანამშრომლების დაქირავების პოლიტიკა და კომპანიის მიერ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კადრების დაქირავება ხდება.

Forbes Georgia-ს ბოლო პუბლიკაციის მიხედვით, კომპანია ამონაგების მიხედვით უმსხვილესი ქართული კომპანიების სიაში მე-7 ადგილს იკავებს, რასაც მეტად აშკარას ხდის მისი ხელფასების დონე, რომელიც აღემატება ქვეყანაში არსებულ საშუალო მაჩვენებელს. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას და მიზანმიმართულ ზომებს იღებს ამ მიმართულებით: მაგალითად, როგორცაა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეხვედრები მენეჯერებთან ერთად და კომპანიის შენობების ყოველთვიურად შემოწმება.

როგორც დამსაქმებელი, შპს ტოიოტა კავკასია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა უზრუნველყოს პერსონალის მიერ მომხმარებელთათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურების გაწევა. კომპანია შრომისმოყვარე, მიზანდასახულ პირებს სთავაზობს განსაკუთრებულ წინსვლის შესაძლებლობებს, კონკურენტუნარიან ხელფასსა და პოზიტიურ სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული, რასაც კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტი ყურადღებით უწყევს მონიტორინგს.

(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და დილერებთან. კომპანიამ სანდო ურთიერთობა დაამყარა კავკასიის რეგიონის დილერებთან. დილერების ზრდა და ძლიერი პოზიციონირება კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვნად მხარდაჭერილია კომპანიის მიერ. შპს „ტოიოტა კავკასიამ“ დილერებისთვის დანერგა შიდა სისტემა, რომელიც ისეთი ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საშუალებას იძლევა, როგორცაა შეკვეთის დეტალები (ავტომობილის და სათადარიგო ნაწილების მახასიათებლები) და მიწოდების დრო.

შპს „ტოიოტა კავკასია“ ავტომობილებსა და სათადარიგო ნაწილებს Toyota Tsusho Corporation -სგან და Toyota Motor Europe- სგან იძენს (მწარმოებელი) და უზრუნველყოფს ინდივიდუალური შესყიდვის თითოეული პროდუქტის ხარისხს.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო განყოფილება დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, საგადასახადო კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების გასაცნობად, რომლებსაც შესაძლოა კომპანიაზე ჰქონდეს გავლენა.

გარდა ამისა, კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს გარე (აუტსორსინგი) მომსახურებებს საგადასახადო კონსულტაციებისთვის. ყოველწლიურად კომპანია ამზადებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ანგარიშს ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კომპანიას აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ლიმიტირებული ისტორია და არ გააჩნია მნიშვნელოვანი ჯარიმებისა და / ან საურავების ისტორია.

3 მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები:

კომპანია ახორციელებს ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციას კავკასიის რეგიონის ქვეყნებში - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. კომპანია ყოველწლიურად ამღევს ავტორიზირებული დილერობის უფლებას იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. ავტორიზირებული დილერობის უფლება ლექსუსისა და ტოიოტას ბრენდებზე ცალკე გაიცემა.

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა სომხეთის სადილეროსთან, რომელიც ადრე რუსეთიდან მარაგდებოდა. სადილეროების განახლების გარდა, 2023 წელს ინიცირებული იყო სხვა მნიშვნელოვანი შეთანხმებები, რომლებიც

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელფეთერ ანდრონიკაშვილის ქ. #318, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შედგომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშვათ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი უზარაუტის გარეშე.

ქეთევან ზეზუაშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

მოიცავდა იჯარის ხელშეკრულებას ახალ ტერიტორიაზე ავჭალაში, რომელიც კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტთან მიმდებარედ მდებარეობს. შემდგომში, ახალი იჯარით აღებული ტერიტორია გარემონტდა და მთლიანად ინტეგრირებულ იქნა, რის შედეგადაც ავტომობილების საწყობის მოცულობა 600-700 ერთეულით გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შედეგების მთავარ მაჩვენებლებზე:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ამონაგები	645,138	388,407
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	531,212	337,361
მთლიანი მოგების მარჟა	17.7%	13.1%
წმინდა მოგების მარჟა	14.5%	10%
სულ აქტივები	141,676	130,432
სულ კაპიტალი	115,744	54,955

ამონაგების მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად განპირობებულია უკრაინაში ომის გამო რუსეთზე სანქციების დაწესებით. ისტორიულად, ქართულ ბაზარზე გაცილებით მეტი მოთხოვნა იყო, ვიდრე კომპანიას შეეძლო დაეკმაყოფილებინა, რადგან Toyota Motor Europe-ს არ შეეძლო საკმარისი ავტომობილების მიწოდება. ომის შემდეგ კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახდა რუსეთის და უკრაინის მარაგი, რამაც გამოიწვია გასაყიდად ხელმისაწვდომი ავტომობილების რაოდენობის ზრდა, რის შედეგადაც მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცა მეტი შეკვეთა განეთავსებინა. ამან ასევე იმოქმედა გაყიდვებზე აზერბაიჯანში, რომელიც გაიზარდა 53%-ით 2022 წელთან შედარებით. გარდა ამისა, ტოიოტას რუსული ბაზრიდან გასვლამდე Toyota Armenia და Lexus Armenia-ს რუსული სადილეროს მეშვეობით მარაგდებოდა. ბაზრიდან გასვლის შედეგად, მიწოდების ხაზი ხელახლა აეწყო და სომხური ბაზრის მიწოდება მიმდინარეობს ტოიოტა კავკასიის მეშვეობით.

COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების შერბილების შემდეგ საქართველოს ეკონომიკა, გლობალურ ეკონომიკასთან ერთად, აღდგენის ფაზაში შევიდა, რომლის ფარგლებში დაიწყო „ლოქდაუნის“ რეგულაციების შემსუბუქება. ეს კომპანიას დაეხმარა მარკეტინგის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაში დილერების მონაწილეობით და გაყიდვების ზრდის ტემპის გაზრდაში, ასევე, მომდევნო წლებში გაყიდვების ზრდის დაგეგმვაში.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #318, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შეხვეული ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ზეპირი გარეშე.

ქეთევან ზეპირაძე



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

Balance Sheet Breakdown, USD million



Units of Vehicles in Stock



მთლიანი აქტივების ზრდაზე გავლენა იქონია ცვლილებებმა მის ძირითად კომპონენტებში: სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მარაგების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვლილებებმა. 2023 წელს კომპანიის გაყიდვების ძლიერი მაჩვენებლები შესამჩნევად აისახა მის მოკლევადიან აქტივებში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაიზარდა 198%-ით და ჯამში 12,323-ს მიაღწია, რაც ძირითადად დაკავშირებულია ავტომობილების გაყიდვებთან.

მარაგების ყველაზე დიდი წილი ავტომობილებს შეადგენდა. წლის ბოლოს ჩატარებულმა ანალიზმა, როგორც ფულადი ღირებულების, ასევე რაოდენობის გათვალისწინებით, აჩვენა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ პროდუქციის ხაზებს: Lexus RX, Toyota Highlander, Toyota Rav4, LC 300. 2023 წელს, ამ მოდელებმა დაიკავეს პოზიციები კომპანიის გაყიდვების მიხედვით 10 საუკეთესო ავტომობილების სიაში.

Lexus-ისა და Toyota-ს ბრენდის მოდელები მუდმივად მაღალი მოთხოვნით სარგებლობენ კავკასიის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ მეორადი მანქანების ბაზარი უფრო დიდია, Lexus-ისა და Toyota-ს ბრენდის მოდელების მიწოდება რთულია, რადგან ავტომობილების იმპორტის ძირითადი ქვეყანა არის აშშ, სადაც ამ ბრენდებს, განსაკუთრებით Lexus-ს უფრო დაბალი პოპულარობა აქვთ. ამის საპასუხოდ მომხმარებლები ხშირად ირჩევენ ახალ ავტომობილებს ავტორიზებული ცენტრებიდან. გარდა ამისა, Lexus-ის მოდელების ძვირადღირებულ ავტომობილებად აღქმა, მომხმარებლისთვის მამოძრავებელია ავტომობილის შენაძენის ოფიციალურ დილერებთან განხორციელებისთვის. რუსეთის შემთხვევაში, ავტომობილების ყველაზე უპირატესი ბრენდი ასევე Lexus იყო. რუსეთში Lexus-ის მოდელებზე მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, Lexus-ის ავტომობილების მნიშვნელოვანი მარაგი არსებობდა. ომის შემდეგ ამ ქარბი მარაგის ადგილმდებარეობა გადატანილ იქნა საქართველოში, რამაც საშუალება მისცა კომპანიას დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა კავკასიის რეგიონში. მარაგების ბრუნვა გაიზარდა 6-დან 8-ჯერ 2023 წელს, რაც მიუთითებს მარაგების მართვის გაუმჯობესებულ ეფექტურობაზე.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით: საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (გაზრდილი შემოსავლების შედეგად), საფინანსო საქმიანობაში გამყენებული წმინდა ფულადი სახსრების უფრო მაღალი მაჩვენებელი (დივიდენდის გადახდის შედეგად) და საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (დაკავშირებულია ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში ინვესტიციებთან).

აღსანიშნავი ცვლილებები გრძელვადიან აქტივებში დაკავშირებული იყო არამატერიალურ აქტივებთან და ავტომობილებთან, რაც განპირობებული იყო დამატებებით (როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები/ გამოწერების შეძენები).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემაჯავლი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

Handwritten signature in blue ink.




Worldwide
Olympic Partner




Worldwide
Paralympic Partner

Cash Flow Statement, USD Thousands



Breakdown of P/L, USD Thousands



სულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებაზე გავლენა იქონია გაზრდილმა შემოსავლებმა და კომპანიის გადაწყვეტილებამ გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი 32,465 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის ავტორიზებული კაპიტალი დარჩა 10 მილიონი აშშ დოლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 10 მილიონი აშშ დოლარი).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემაჯავლი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თუკენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი უზარტვის გარეშე.

ხელმოწერა



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner



ამონაგებში ცვლილებების ანალიზი

შპს ტოიოტა კავკასია არის ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების ერთადერთი ოფიციალური იმპორტიორი. ავტომობილები ძირითადად მზადდება იაპონიაში და ტრასპორტირდება ზღვით. ქვემოთ მოცემულ პირველ დიაგრამაზე ნაჩვენებია ავტომობილების გაყიდვები მოდელების მიხედვით და მეორე დიაგრამაზე ნაჩვენებია ქვეყნების მიხედვით მიღებული ამონაგები გაყიდვებიდან. დიაგრამა 1*

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
LC 300	200,543	121,630
Lexus LX	108,404	48,457
Land Cruiser	90,293	47,251
Lexus RX	45,373	8,202
Toyota Rav4	38,079	45,906
Toyota Corolla	23,010	11,915
Toyota Camry	22,580	19,915
Toyota Highlander	18,718	11,425
Toyota Hilux	16,098	11,633
Lexus NX	13,306	10,887
Lexus ES	10,248	6,212
Toyota Fortuner	9,035	6,915
Lexus LM	8,407	-
Toyota C-HR	7,321	9,260
Toyota Yaris Cross	5,183	3,574
Lexus GX	4,720	6,656
Toyota Alphard	3,039	1,611
Lexus UX	922	339
Toyota Hiace	801	1,551
Lexus LS	471	734
Lexus LC	180	-
Toyota Prius	151	-
Toyota Coaster	100	-
Toyota Proace	16	-

*მოიცავს ტრასპორტირების მომსახურების ამონაგებს

დიაგრამა 2*

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
საქართველო	243,836	135,593
აზერბაიჯანი	324,656	212,741
სომხეთი	58,507	25,739

*მოიცავს ტრასპორტირების მომსახურების ამონაგებს

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #318, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემაჯავლი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ხათუნა ზეიბაშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner



2023 წლიდან წარდგენილი ახალი პროდუქტები და მომსახურებები

2022 წელს კომპანიამ ოფიციალური დილერების მეშვეობით ახალი საგარანტიო პროდუქტი წარადგინა აზერბაიჯანსა და საქართველოში - „Toyota 10“ და „Lexus 10“ - რომელიც ღირებულებას მატებს ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდებს და კიდევ უფრო ზრდის მომხმარებლების შენარჩუნებასა და მათ კმაყოფილებას, რაც დამატებითი ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას ქმნის. მწარმოებლის გარანტიის გასვლის შემდეგ Toyota 10 და Lexus 10 ტოიოტასა და ლექსუსის მომხმარებლებს საშუალებას აძლევთ, რომ ავტომობილების გარანტიის დაფარვა განაგრძონ მომდევნო ტექნიკურ მომსახურებამდე (1 წელი ან 10,000 კმ, რომელი პირობაც უფრო ადრე დადგება), ოფიციალური დილერის მიერ სრული ტექნომსახურების ჩატარების შემდეგ (ავტომობილის ასაკი 10 წლამდე).

2023 წელს კომპანიამ ასევე წარადგინა Toyota-ს ახალი მოდელები როგორცაა Toyota Corolla Cross, NG Toyota C-HR და Toyota Proace City. Lexus-ის ხაზიდან 2023 წელს წარმოდგენილი ახალი მოდელები იყო Lexus LM და NG RX, რადგან ბაზარზე ყველა სეგმენტის შეთანხმების აუცილებლობა მუდმივად არსებობს. კომპანიამ პრემიუმ ბაზრისთვის წარმოადგინა სრულიად ახალი Lexus LM მოდელი.

2022 წელს კომპანიამ წარადგინა „ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის მეორადი ავტომობილების გარანტია“ ოფიციალური დილერების მიერ გაყიდული ავტორიზებული მეორადი ავტომობილებისთვის. დილერებს შეუძლიათ ტოიოტა კავკასიის მეშვეობით შესთავაზონ მომხმარებელს საგარანტიო მომსახურება შესაბამის მეორად ავტომობილებზე. კომპანია ამ სერვისიდან დამატებით შემოსავლის გამომუშავებას მოელის. გარდა ამისა, კომპანიამ ასევე შესთავაზა დილერებს ფოტოების განთავსება ფოტო აპლიკაციის სერვისების საშუალებით, რათა ხელი შეუწყონ მეორადი ავტომობილების გაყიდვას მეორადი ავტომობილების ლოკატორზე (ვებ გვერდზე).

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273
ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #318, 0189 თბილისი, საქართველო
T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47
info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ქაიკა ბეჟიშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner



4 კომპანიის სამომავლო გეგმები:

2023 წელს „ტოიოტა ერევანი“ და „ლექსუს ერევანი“ ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდებს სომხეთში დაემატა, როგორც ოფიციალური წარმომადგენლობა. აღნიშნულის შედეგად მრავალი სახის მომსახურება, მათ შორის გარანტიები, გახდება ხელმისაწვდომი სომხეთის ბაზარზე. ხელმძღვანელობა მოელის, რომ ეს ცვლილება კიდევ უფრო გაზრდის სომხეთის ბაზარზე ავტომობილების გაყიდვებს.

იმის გამო, რომ ბაზარზე ელექტროავტომობილებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება, კომპანია განიხილავს ბატარეაზე მომუშავე ელექტროავტომობილების (BEV) წარდგენის მოთხოვნას 2024 წელს (ყველაზე რეალური, როგორც ჩანს, BZ4X-ის მიღება იქნება ნიმუშების ექსპორტის სქემით). ასევე, კომპანია გეგმავს 2024 წელს Toyota-სთვის - NG Prado, NG Camry, MC Yaris Cross და MC Proace City -ის , ხოლო Lexus-ისთვის, NG GX, RX PHEV, NX PHEV და BMC L-ის წარდგენას, მოსალოდნელია, რომ კომპანია ახალი ავტომობილების მოდელების მეშვეობით დიდ სარგებელს მიიღებს.

5 მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები:

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებიდან, ბანკის ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, რაც ასევე მოიცავს დასაფარ მოთხოვნებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	11,665	3,546
სხვა მოთხოვნები, ნეტო	259	122
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	11,924	3,668

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად კომპანიას უქვემდებარებს საკრედიტო რისკს, შედგება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნებისგან. მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის გარეშე წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელსაც გააჩნია საკრედიტო რისკი.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ფაქტობრივად მთლიანად უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიებით, რომლებიც მოწოდებულია კლიენტების მიერ (ავტომობილების დილერები), რაც უზრუნველყოფს პოტენციური დეფოლტებისგან დაცვის საშუალებას. საბანკო გარანტიის ლიმიტი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 16,350 ათას აშშ დოლარს, რაც აჭარბებს მოთხოვნების დონეს 4,685 აშშ დოლარით, რაც ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზღვარს.

ფულადი სახსრები ინახება ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებიც იქ განთავსებისას ითვლება მინიმალური დეფოლტის რისკის მქონეებად. ქვემოთ მოცემული ცხრილში ასახულია ნაშთები ძირითად ბანკებში ბალანსის შედგენის თარიღებით:

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეგდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ქეთევან ტყეშელაშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

ათასი აშშ დოლარი	31-დეკ-23	31-დეკ-22
სს საქართველოს ბანკი – მიმდინარე ანგარიში	17,777	7,691
სს თიბისი ბანკი-მიმდინარე ანგარიში	46,170	16,141
ტოკიოს ბანკი-შპს MUFG ბანკი - მიმდინარე ანგარიში	5	4
სულ	63,951	23,835

სავალუტო რისკი. კომპანიას გააჩნია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რყევების გამო მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. სავალუტო კურსის რისკი კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში შემცირებულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას, მისი ბრუნვისა და ხარჯების უმეტესი ნაწილი დენომინირებული აქვს ფუნქციურ ვალუტაში (აშშ დოლარში). ძირითადი სავალუტო რისკი წარმოიქმნება აშშ დოლარის ღირებულების რყევისას კომპანიის წმინდა ინვესტიციებში აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში (უპირველესად ევრო და ქართული ლარი).

რაც შეეხება სავალუტო რისკს, ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს რისკისადმი დაქვემდებარების დონეს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად.

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერს			2022 წლის 31 დეკემბერს		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	1,053	(298)	755	13	(94)	(81)
ევრო	22	(273)	(251)	1	(3,144)	(3,143)
სხვა	-	(22)	(22)	-	(77)	(77)
სულ	1,075	(598)	477	14	(3,315)	(3,301)

კაპიტალის მართვის დროს კომპანიის ამოცანაა, რომ შეინარჩუნოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იმისთვის, რომ უზრუნველყოს აქციონერებისთვის უკუგება და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებელი და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად.


შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273
ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #318, 0189 თბილისი, საქართველო
T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47
info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშუქდეთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ქეთევან ბუაჩიშვილი



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner

საბაზრო რისკები.

საქართველოს ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების ბაზარი საკმაოდ კონკურენტუნარიანია და ასევე ხასიათდება მაღალი ფრაგმენტაციით. იგი შედგება სამი ძირითადი სეგმენტისგან: ავტომობილებით ვაჭრობა, სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა და ავტომობილების მომსახურება. ფორმალური სექტორს ავტომობილების 70% აქვს დაკავებული, თუ გავითვალისწინებთ უამრავი ინდივიდუალური ავტომობილების დილერებისა და სათადარიგო ნაწილების დიდი ბაზრების არსებობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბოლო წლების განმავლობაში, ინდუსტრიას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. კომპანია მუდმივად არის დასახელებული, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია. მას კონკურენციას უწევს: Mercedes, Volkswagen, Hyundai, Nissan, Honda და BMW. პირველი რეგისტრაციების თვალსაზრისით, Toyota-ს ავტომობილები დაეწია Mercedes-ს ავტოპარკში, რაც შენარჩუნებად მიმზიდველობაზე მიუთითებს.

კომპანია უფრო მაღალ ფასებს აწესებს, ვიდრე ბაზრის სხვა მონაწილეები, ასე მოქცევით იგი ეყრდნობა ბრენდის ძალას და პროდუქტის ხარისხს, რაც მას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს მომხმარებელთა ერთგულება. კომპანიის ბოლო კვლევის მიხედვით, მისი წილი ბაზარზე 40%-ს შეადგენს, რაც მას ბაზრის ლიდერად აქცევს საქართველოში. კომპანიის საქმიანობას არ ახასიათებს რაიმე სახის ციკლური ან სეზონური აქტივობა.

პოლიტიკური რისკები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს ტოიოტა კავკასიის სამომავლო საქმიანობის შედეგები მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტი ორწლიან ნიშნულს მიუახლოვდა 2024 წლის თებერვალში. ომს შორისმდევალი შედეგები მოჰყვა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ორივე მონაწილე არის საქონლისა და ენერგეტიკული საქონლის მთავარი მწარმოებელი. ამ შეფერხებამ მოიცვა გლობალური მიწოდების ჯაჭვები, რის შედეგადაც გაიზარდა ფასები ნავთობზე, გაზზე და სხვადასხვა ნედლეულზე, მათ შორის პალადიუმზე. აღსანიშნავია, რომ პალადიუმზე მოთხოვნის 80% დაკავშირებულია ავტომობილების კატალიზატორებთან, ხოლო რუსეთი გლობალური მიწოდების 40% -ს უზრუნველყოფს. მყიდველები აქტიურად გადადიან ალტერნატიულ მომწოდებლებზე და მასალებზე.

გარდა ამისა, ნახევარგამტარების მიწოდების ჯაჭვები, რომლებსაც უკვე აქვთ პრობლემები, რჩება ძალიან დაუცველი. თუმცა, იაპონური ბრენდები განსაკუთრებით წარმატებულები იყვნენ ნახევარგამტარების გლობალური დეფიციტის დამლევაში, რითაც თავიდან აიცილეს მათი პროდუქციის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის საჭიროება.

კომპანია მუშაობს როგორც საბითუმო მოვაჭრე და არ მონაწილეობს ავტომობილების წარმოების ციკლის არცერთ ეტაპზე; შესაბამისად, ძირითადი რისკები მდგომარეობს მაკროეკონომიკურ და ფინანსურ პირობებში. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საბოლოო მომხმარებლების უმეტესობა ცხოვრობს კავკასიის რეგიონში, რომელიც არის მიმდინარე კონფლიქტის სიახლოვეს, ბიზნესი მგრძნობიარეა ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების მიმართ. პოტენციური შედეგი შეიძლება იყოს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება, რაც შემდგომში ამცირებს კლიენტების მსყიდველუნარიანობას და გამოიწვევს კომპანიის გაყიდვების შემცირებას.

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო

T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47

info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგიებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეგდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუმჟღავნოთ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ტოიოტა კავკასია



Worldwide
Olympic Partner



Worldwide
Paralympic Partner



რეგულაციებთან შესაბამისობის რისკები.

რეგულაციებთან შესაბამისობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბიზნესი შესაბამისობაში არ არის კანონებთან, რაც შედეგად იწვევს ჯარიმებს, აზიანებს რეპუტაციას, ან თუნდაც იწვევს ოპერირებაზე ავტორიზაციის შეჩერებას. წარსულში კომპანიის მარეგულირებელ ცვლილებებზე ერთ-ერთი დაქვემდებარება დაკავშირებული იყო ევრო-4 სტანდარტის დანერგვასთან. 2015 წელს აზერბაიჯანმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა ევრო-4-ზე დაბალი საწვავის სტანდარტების მქონე ავტომობილების იმპორტს, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა კომპანიის გაყიდვებზე. ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ საქართველოდან აზერბაიჯანში 2005 წლამდე გამოშვებული ავტომობილების ექსპორტი, რომელი აქამდე დიდი მოთხოვნით სარგებლობდა, მთლიანად შეჩერდა. გარდა ამისა, 2017 წელს ავტომობილებზე აქციზის განაკვეთის ზრდამ უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის გაყიდვებზე. ამჟამად შესაბამისი მარეგულირებელი ცვლილება ევრო-5 სტანდარტს უკავშირდება. საქართველომ ქვეყანაში ავტომობილებისთვის ევრო-5 სტანდარტი შემოიღო, რითაც შეზღუდა 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი. სამგზავრო ავტომობილები ამ რეგულაციას დაექვემდებარა 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ავტობუსები და სატვირთო მანქანები, სავარაუდოდ, 2025 წლის 1 იანვრიდან მოექცევიან ამ რეგულაციის დაქვემდებარებაში. აზერბაიჯანმა ევრო-5 სტანდარტის საწვავზე გადასვლა 2023 წელს დაიწყო, რადგან ავტომობილების განახლების საბოლოო თარიღი არ იყო გამოცხადებული. აქამდე კომპანიამ მოახერხა ახალ რეგულაციასთან შესაბამისობა პრაქტიკულად სრული შემადგენლობით, გარდა LC70-ისა, რისთვისაც ჩვენ, კომპანია დადებით შედეგს ველოდებით 2024 წლის შუაში.

კოჯი მაცუნო
პრეზიდენტი

ირაკლი ლეკიშვილი
დირექტორი

თარიღი: 22.03.2024

შპს ტოიოტა კავკასია, ოფიციალური დისტრიბუტორი. საიდენტიფიკაციო კოდი: 236089273
ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქ. #31ბ, 0189 თბილისი, საქართველო
T +995 (32) 2 72 00 45, +995 (32) 2 72 00 46, F +995 (32) 2 72 00 47
info@toyota-caucasus.com

წინამდებარე წერილი და მასში შემავალი ინფორმაცია შესაძლოა პრივილეგირებული იყოს. შინაარსი კონფიდენციალურია და თუ ეს წერილი შეცდომით მიიღეთ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ გამგზავნს. თქვენ არ უნდა გააკეთოთ მისი ასლი რაიმე მიზნით ან გაუშვათ მისი შინაარსი სხვა პირს გამგზავნის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ირაკლი ლეკიშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N241275528



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

23.09.2024 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული
ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

35306804310624



ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდასამ სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის
სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი
#01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის
მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ტოიოტა კავკასია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023 წლის 31
დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე.
მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი
შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს
ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და
მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული
#507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 150.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე
მუხლის თანახმად 27.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00
ლარი. სულ გადახდილია 182.00 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების
შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



